შპს "ჯი ემ ჯი"

"GMG" LLC

თარიღი: 28.01.2020

ქ.თბილისი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

თქვენი სამინისტროს, 2019 წლის 27 დეკემბრის წერილი ნ: 13314/01-ს პასუხად წარმოგიდგენთ სპეციალისტების მიერ მომზადებულ კომენტარებს (იხ. დანართი 1), იმავე წერილში აღნიშნულ შენიშვნებთან დაკავშირებით.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ წარმოდგენილი შენიშვნებით მოთხოვნილი ინფორმაცია და განმარტებები, ასევე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სავალდებულო საკითხები, შესაძლოა მოკლედ, ან/და გაბნეულად, მაგრამ სრულადაა მოცემულია ჩვენს მიერ წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში და მიგვაჩნია, რომ ამგვარი შენიშვნა თუ ხარვეზი უფრო ტექნიკური ხასიათისაა, ვიდრე შინაარსობრივი.

ასევე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მოეწყო საჯარო განხილვა, სადაც საპროექტო არეალის მოსახლეობის ან დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან შენიშვნები ან/და კომენტარები არ დაფიქსირებულა.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიისათვის წარმოდგენილი შენიშვნები მოიცავს მხოლოდ განსახილველი საკითხების დაზუსტებას და სისტემატიზირებულად სამინისტროში წარმოდგენას, გთხოვთ განაახლოთ/გააგრძელოთ საქმის წარმოება და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რათა არ შეფერხდეს პროექტის მიმდინარეობა და არ დაირღვეს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადები.

წარმოდგენილი დანართები: 1. კომენტარები შენიშვნებზე; 2. მოსალოდნელი გარეცხვის სიღრმის გაანგარიშება; 3. ნახაზი #G.DIG/CW-400-18; 4. ნახაზი - ტურბინის ჭრილი; 5. იქტიოლოგიის საექსპერტო დასკვნა.

პატივისცემით,

გრიშა ნატროშვილი
დირექტორი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 1306
28.01.2020
1/9 ფ.
+ 02 +

ქ.თბილისი, 0105 პაოლო იაშვილის 7
ს.კ 404398237
ტელ: 0322181920

office@gmg.ge

7 Paolo Iashvili str. 0105 Tbilisi, Georgia
ID Code: 404398237
Phone number: 0322181920